

სახალხო გაზეთი

სუბტივიანი ჟამთიანი

გაზეთის № 668

დამატების № 117

კვირა, 5 აგვისტო 1912 წ.

ქართული
გაზეთების
კავშირი



კალობა (ქართლში). ფერადებით ნ.ხატი მოსე თოიძისა.



ცხოვრების ნაწილები

(დრამა ერთ მოქმედებად).

მოქმედების პირები:

- 1) ოქრო ნახუცარიძე. ქართველი პუბლიცისტი.
- 2) დომინიკა. ცოლი მისი.
- 3) კოტე ელიაძე. ნათლია იმათი.
- 4) ბეუიკო. მეგობარი ოქროსი.
- 5) მართა. მოსამსახურე დედაკაცი.
- 6) სოფიო. მკერავი ქალი.

სცენა წარმოადგენს სასტუმრო ოთახს, სადაც, მაგრამ კომპლიდ მორთულს. ყველაფერს სიფაქიზის და გემოვნების ბეჭედი აზის. პირდაპირ ერთი ფანჯარაა, იმის იქით წინა კარები. მარჯვნივ ცოტა გასწვრივ და მარცხნივაც თითო კარები. ბამბუკის ავეჯი, კოხტა სამწერლო მაგიდა თავისი მოწყობილობით. ერთი უჩარხო შუა ზომის სარკე, გამოჩენილ პირთა სურათები, პატარა შკაფი წიგნებით სავსე, საქანელი და პინინო. მარჯვნივ, ღია კარებიდან მოსჩანს სასადილო ოთახი, სადაც ერთი კლიონკა გადაფარებული მაგიდა დგას, ერთი ბუფეტის შკაფი და რამდენიმე სკამი.

ფარდის ახდისას სოფიო უზის სა'ადილო ოთახში მაგიდას და კოფთასა ჰკერავს. სულ მცირე პაუზა.

I

მართა. (ხანში შესულია. გამოდის სამზარეულოდან სასადილო ოთახში და შემოიღობარაკებს) უი, შავმა ქირმა შეგქა-

მოთ, ვისაც მე არ გებრალეობთ. (გააღებს შკაფს, გამოიღებს იქიდან სარძევეს და შეაქვს სამზარეულოში, ისევ მალე გამოვა აღუღებელი რძით და გაემართება მარჯვნივ, განის კარებისაკენ, თანაც სულს ზებრავს).

სოფიო. (კოფთას ამაშინებს. მერე ისევ ჰკერავს).

II

მარ. (გამოსვლისას მიიბრუნებს პირს) დახე, დახე რეებს მიბედავს ეს ურცხვი ესა. რაო? ძალიანაც ნუ გამეთხლიშები მამა-გიცხონდა. (მიხურავს კარებს და მიდის სასადილო ოთახისაკენ).

სოფ. რა იყო მართა, რა გაბუზლუნებს?

მარ. რა მაბუზლუნებს და უწყესობა.

სოფ. ძიძამ გაგაჯავრა?

მარ. გამაჯავრა კი არა სისხლი გამიშრო. ქალო! უნდა იცოდე რა ღორმუცელა რამაა ეს ერთი ციციქნა გომბიო. თუ რამ მოახელა შენი მტერია. ღმერთო მომკალი, რაღა მეშველება ეხლა? ან იმ კაცს რა პასუხი გავუკე?


სოფ. რა მოხდა ქა, არ იტყვი?

მარ. ერთი ბოთლი მეოლის სეროფი მქონდა ბატონისთვის შენახული, მეოლი აულია ამ არ გასაშვებს და ერთბაშად გადაუხუაგს.


სოფ. (კისკისებს).

მარ. უი, დალოცვილო, შენ გეცინება და ერთი მეცა მკითხე და!.. (შედის სამზარეულოში).

მოგზაურობა ბეთანიის მონასტრის დასათვალიერებლად.



ბეთანიის მონასტერი (ქართლში) აშენებულია 1196 წ.



ბეთანიის ჩუქურთმები. ჩრდილოეთის კედელზე.

სოფ. (ისევ ამაშინებს. წუთის შემდეგ თავს გაანებებს მუშაობას. უკვე შეკერილ კაბაზე და ქალის თეთრეულებზე დაადებს კოფთას, ადგება, ერთს გაიზმორება მთქნარებით, მე-რე გამოდის სასტუმრო ოთახში, მივა ღია ფანჯარასთან, ცოტათი გადაეყრდნობა და იცქირება ქუჩაში).

III

მართა.

მარ. (გამოდის სამზარეულოდან და მივა სოფიოსთან) არა სჩანს?

სოფ. (მოიხედავს) არა. (ისევ ქუჩისკენ იცქირება.)

მარ. (ჩამოჯდება იქვე მის შორი-ახლო ტახტზე სახის დაღრეჯით) ვაი წელი!

სოფ. შენ დღეს რაღაც დიდ მზადებაში ხარ. ვინ უნდა მოვიდნენო?

მარ. ძველი ნაცნობ-მეგობარი დაუბატოვნია.

სოფ. საოცარია! ვგონებ დიასახლისს დღეს შენთვის ამაზე კრინტიც არ დაუძრავს. რატომ?

მარ. მითომ, რომ ყველაფერი რაც ოქროს იამება იმას ლახვარივით ესობა გულზე. ქმრის მოკეთენი ვერე რიგად არ ებიტნავენა. ახლა აღბად უნდა საწყალს როგორმე შეათვისოს, მაგრამ არა მგონია! თუ ამაჟამაც ვერ გააშლევინა შუბლი, ის კაცები საუკუნოდ ამოიკვეთენ ფეხს და მერე ვინ იცის როგორ წავა საქმე. (საღდაც შორს მოისმის ქუხილი. მართა პირჯვარს გამოისახავს).

სოფ. ქუხილი! იქნება გაწვიმდეს?

მარ. დროცაა, თორემ ლამის გადხრუკოს მთელი ქალაქი. (სულ შკირე პაუზა).

სოფ. იცი რა მართა! უნდა კაცმა სიმართლე სთქვას, რომ ეს შენ ქალბატონი მეტად ლამაზი და ეშხიანი ვინმეა.

მარ. (ხელს ჩაიქნევს) უი, გეთაყვანე, მე კი ამომიკაპა და ისე რა თავში ვიხლი მაგის სილამაზეს.

სოფ. (წამის შემდეგ.) ქმარი როგორი კაცია?

მარ. ანგელოზია, ანგელოზი, ენაცვალოს მართა. ისიც რომ არა მყავდეს ნუგეშის მომცემად აქ რა გამაჩერებდა ამდენ ხანს? გულ-კეთილია, გულ-კეთილი რომა... ყველაფერი სხვისთვის და თითონ კი მუდამ ხახა გამშრალია.



ბეთანიაში მყოფი მოგზაურნი.

სოფ. რა საქმეშია?

მარ. გაზეთის მწერალია. გარდა ამისა ვილაცა დიდი-კაცის შვილებს ფრანციცულსა-კასწავლის ხოლმე. მაგეთი გაუტეხელი კაცი იშვიათია სწორედ. არც დღე აქვს მოსვენება დარ არც ღამე. ნეტა როგორ უძლებს ამდენ დავიდარაბას. გამიქრეს დღენი! ხან და ხან ისე მისუსრდება, რომ ლამის დავდნე იმის ცოდვით. ამ ბოლო დროს რაღაც გულის-ფრიალიც დასჩემდა. ვგონებ იმ დასაქცევ ციხიდან გამოჰყვა.

სოფ. როგორ! ციხეშიც იჯდა?

მარ. განა ერთხელ?

სოფ. ცოლი უყვარს?

მარ. უყვარს და ვერე? თავს ევლება. სულ იმის ცდა-შია, რითიმე ასიამოვნოს. შენ უნდა გენახა, სოფოჯან, რა ყოფა ჰქონდათ ჯვრის წერის პირველ ხანებში. ამ ხნის დედა-კაცო მოვიყარე და ასეთი სიყვარულის მომსწრეც არა ვარ ჯერ. კინაღამ ჩააღრჩევს ერთმანეთი ხვეწვა-კოცნაში. რო იტყვიან: „სიყვარული კაცს აბალდებსო“ მართალი ყოფილა სწორედ.

სოფ. მაშინ მაქარი ჩუხჩუხებდა ჩემო მართა—მაქარი. (წამის შემდეგ) კოტე ელიაძე შეეჩვიოა, მართალია?

მარ. შენ ეს საიდან იცი?

ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მოწაფეთა მოგზაურობა კახეთში.



ქუთაისის ქართულ გიმნაზიის ექსკურსია თელავში. ერეკლე მეორის სასახლის ციხის მთავარი შესავალი.

ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მოსწავლენი **ქ. თელავში**. (შუაში სხედან „სახ. გაზ.“ თანამშრომელი ე. პატაშვილი (დავიწყებული) და სტ. დ. ჩხეიძე (თურდოსპირელი).



შუამთის მონასტერი და ქუთაისის ქართულ გიმნაზიის ექსკურსანტები. შუაში დგანან ამ მონასტრის ბერები.



ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მოსწავ. ექსკურსია თელავში. ერეკლე მეორის საზაფხულო დასასვენებელი ოთახი.

სოფ. ალბად ვიცი. აბა მოჰყე!

მარ. გეტყვი, თუ ქვეყანას არ მოჰყენ.

სოფ. არ სულელი! ისე მათრთხილებ, თითქოს ვინმე ქუჩის ქორიკანა ვიყო. რას ჰმალავ—ეს ამბავი ეხლა. მთელმა ქალაქმა იცის. (ისევ ქუხილი).

მარ. (ლოყაზე იტაკებს ხელს) უი დამიდგეს თვალები!

სოფ. დიახ, დიახ, აბა!

მარ. ეს იყო ამ ოთხი თვის წინად. ქმარი ისევ ციხეში იჯდა. ერთიც ვნახოთ ის მიწა-გასახეთქი კი მორიხინდა. იმის დანახვაზე ქალს ალმური მოეკიდა, უეცრივ რაღაც მოიგონა და სხვაგან გამგზავნა.

სოფ. თავიდან მოუშორებიხარ რაღა! მერე?

მარ. სანამ იქიდან დავბრუნდებოდი, ის პლუტი კიდევ წასულიყო. როდის გაეცნო და როდის არა კაცმა არ იცის. მალე შეილიც მოანათვლინა. ნათლობის მეხუთე დღეს, ქმარიც გამოუშვეს ციხიდან.

სოფ. (კისკისებს) ხშირად დადის?

მარ. ჰო, უფრო ხშირად ქმრის შინ არ ყოფნის დროს.

სოფ. როგორი იყო მამა-კაცების პირველი შეხვედრა?

მარ. შინ მოუსწრო უცაბედად. რაღაც დარჩენოდა და გზიდან დაბრუნებულები. იმისი შემოსვლა და სტუმრის გა-

სვლა ერთი იყო. კიბეზე შეეფეთნენ ერთმანეთს. დაინახა თუ არა უეცრივ შედგა, სახეზედაც ნაცრის ფერმა გადაჰკრა. აშკარა იყო არ ესიაოვნა იმისი აქ ყოფნა. ცვად ხელი ჩამოართვა და სწრაფად მალლა ამოიბრინა, ხოლო ის კი არ ვიცი ცოლს რა უთხრა და რა არა. იმ დღიდან მოკიდებული ოქრო გაცინებული აღარ გვინახავს. რაღაცა გამოიცვალა. რამდენიმე ხანს შინ მოსვლისას პირდაპირ ჩემკენ მორბოდა, თვალს-თვალში გაიყრიდა და ისეთი სახით შემომხედდა, რომ შიშით ტანში ჟრუანტელი მივლიდა ხოლმე.

სოფ. ახირებულია, შენ რას გერჩოდა?

მარ. აბა რა ვიცი—წადი ჰკითხე სამართალი.

სოფ. ცუდი საქმეა. ელიაქე ისეთი კაცია, რომ რაკი ვისმეს ნიშანში ამოიღებს არც კი დააცდენს. საბრალო შენი ბატონი! ვინ იცის როგორ იტანჯება გუნებაში.

მარ. ეხ!.. ჩემო სოფო, შორიდან მართლაც ბედნიერი ჰგონია ყველას, ისე კი... (ხელს ჩაიქნევ) ვინ იფიქრებდა, თუ ასეთი ბოლო ექნებოდა მაგათს იყვარულს. არავინ არ მოდის, ყველანი შემოეცალნენ, განა შეიძლება ასე ცხოვრება? წინად კი, როცა უცოლო იყო, უნდა გენახა რა ღვივლ-ხივილი იყო მაგათსა, მოგროვდებოდნენ ნასწავლი ყმაწვილები და ერთი ყოფა ჰქონდათ.

VIII

(მართა მარჯვენა კარებიდან მიდის სამზარეულოში).

სოფ. დედა არა ჰყავს მაგ კაცს?
მარ. ჰყავს. წინად შეილთან ცხოვრობდა, მერე რაკი რძალს ვერ შეეთვისა, ადგა და ისევ სოფელში დაბინავდა. ეხლაც ტირილი მომდის, როცა საბრალო დედ-ბრის წასვლის დღე მომავლდება ხოლმე: „მშვიდობით ჩემო ბიჭიკო, გაშალე შუბლი ნუ მოგიწყენია. მივდივარ, რომ ჩემი წასვლით შენი ოჯახური ცხოვრება დაწყნარდეს, თუ თქვენ კარგად მყოფებით, ჩემი თავი თქვენი ქირისანაცულო იყოსო“.

სოფ. (უეცრივ) სუს! მართა, ბავშვი ტირის. (ისევ ქუჩაში იცქირება).

მარ. (შივა მარჯვენა კარებთან, შეაღებს და მიადებს ყურს). სწორედ ისაა. ნეტავი ის გოგო რას უყურებს. (გძახის) მეღანა! მეღანო. ბაღს გაუღვიძნია მიჰხედე ქა! რაო? სადა მცალიან ათასი საქმე მაქვს.

სოფ. (მართას) მოდის. (შედის სასადილო ოთახში და ფუსფუსებს).

მარ. (ერთს ისიც გადაიხედავს ქუჩაში და შედის საჩქაროდ სამზარეულოში).

IV

დომინიკა.

დომინიკა. (ლამაზი ღიასი, აცვია თეთრი საზაფხულო კაბა მოღაზე. ამაყი და ეშხიანია. ლაპარაკობს ცივად, რწმენით. შემოსვლისას შედგება. ერთს ალმაცერად სოფიოს გადაჰხედავს და შივა მასთან. (შეკერილებს, ხელში აიღებს სათითაოდ და ათვლიერებს). არ ვარგა. რის მაქნისია მაგალითად აი ეს? (უჩვენებს). დილას აქეთ ჩაგჩინებთ და თქვენ მაინც თქვენსას არ იშლით.

სოფ. ქ-ნო! თქვენი ვერა გამიგიარა, ხან ასე ამბობთ, ხან ისე.

დომ. (მკაცრად ხმა! ვის უბედავთ ენის შებრუნებას. როცა ვამბობ არ ვარგა მეთქი მორჩა. სჩანს საბუთიცა ქონია. თქვენი აქ მოყვანა მართას საქმეა და რაც მომივა ახია ჩემზე. რად მივინდე, როცა კარგად ვიცოდი მისი უტვიზობის ამბავი? მართა!

V

მართა. ბატონო!

დომინიკა. თეთრეული დაუთოვე?

მარ. დიაღ.

დომ. ეხლა რას აკეთებ?

მარ. სამოვარს ვხეხავ.

დომ. იყო ვინმე?

მარ. იყო მესტამბე.

დომ. ბატონი?

მარ. რაც გაკვეთილზე წავიდა მას მერე არ გხლებიათ.

დომ. რაფიკოს სძინავს?

მარ. არა, გაიღვიძა.

დომ. წამო ფეხ-საცმელები გამხადე (მკერავს) შემოიტანეთ ჩემს ოთახში გაგისწორდებით და წადით. (შედის მარჯვენა, მართაც თან მიჰყვება).

სოფ. (წუთის განმავლობაში შეკერილებს ერთი-მეორეზე დააწყობს, სამაშინეში ინახავს, ნაქრებს თავს მოუყრის და ქალაქში გაახვევს).

VI

მარ. წამო ჩქარა! გეძახის

სოფ. მოვდივარ. დაათვლიერე აქაურობა, მერე არ მომდოთ შარი. ღმერთი მაშინ გამოწყობა, როცა აქ შემოვდგი ფეხი. ეს სულ შენი ბრალია, დამაცა რა დღე დაგაყენო!

მარ. უი დიქცეს ჩემი გაჩენის დღე. რალა ყველანი მე მტუქსავენ ქა?

სოფ. როგორ არ დაგტუქსო, როცა შენი წყალობით დილას აქეთია ჩემი წონა სისხლი დავკარგე. მართლაც ბარაქალა, ვინც მაგის წრე გადასულ უჩინანობას უძლებს, ბარაქალა! (გააქვს შეკერილები მარცხნივ).

მარ. (აიღებს მაშინას, ქალაქში გახვეულ ნაქრებს და ისიც გაჰყვება თან სოფიოს).

VII

ოქრო და ბეუიკო.

(ქულებს და ჯოხებს დერეფანში ჩამოჰკიდებენ).

ოქრო. (ხელში რალაც დიდი ყლიანი წიგნი უჭირავს რომელსაც სამწერლო მაგიდაზე დასდებს. შემოსვლისას ბეუიკოს ღიმილით) ბუი-რუმ ეფენდი! (უჩვენებს სკამზე) ოთურ!

ოქრო. (შეაჩერებს) მართა! დომინიკო შინ არის?

მართა. დიახ.

ოქრო. ისე ხომ მშვიდობაა?

მარ. რა თქმა უნდა.

ოქრო. სტამბიდან იყო ვინმე?

მარ. იყო და რაკი შინ არ დაუხვდით, „მერე შემოვივლიო“.

ოქრო. სხვა ჩემი რაფიკო როგორ არის?

მარ. ჩინებულად, ეხლა ხან გაიღვიძა ძალიან კაი გუნებაზედაც არი.

ოქრო. შენ პირს შაქარი, თორემ წუხელ ძალიან შეგვაშინა იმ საძაგელმა. (ბეუიკოს) იცი კაცო! ჩემს პაწია მტრედს ამ ბოლო დროს რალაც თიაქარისებური დასჩემდა.

მარ. სხვას ხომ არას მიბძანებ?

ოქრო. არაფერს ჩემო მართა.

მარ. (გადის მარცხნივ კარებში).

ოქრო. (ბეუიკოს) ჰო და მას ვამბობდი ჩემო კარგო, რომ ცხოვრებაში უარესიც მოხდება მეთქი... რას იზამ. ხომ იცი ცოლ-შვილიანობა რა თავ-სატყუარა მოვალეობაა. ათასი წვრილმანი, ათასი დავიდარაბა. შორიდან თითქოს არაფერია, ისე კო უჰ!.. მაგრამ არა უშავს რა, მე სრული იმედი მაქვს, რომ მალე ყოველივე ძველებურად მოეწყობა.

ბეუიკო. ღმერთმა ინებოს ოქრო, ღმერთმა ინებოს. დავიჯერო კვლავ დავიბრუნებთ იმ აზრიან ტყბილად მოსაგონარ საღამოებს? დავიჯერო შენს ოჯახში კვლავ მოიყრის თავს ჩვენი ქვეყნის საიმედო ძალები?

ოქრო. უსათუოდ, ჩემო მეგობარო, უსათუოდ. ეს იმ თავივით ჩემი ოცნება იყო. უამისოდ ერთს დღესაც ნუ მაცოცხლოს ღმერთმა. აი ამაღამ ჩვენებთან ერთად რა თქმა უნდა შენც მოხვალ.

ბეუ. დიდის სიამოვნებით.

ოქრო. ეს საღამო მით იქნება კიდევ საინტერესო, რომ არჩილი წაკითხავს თავის ახალ პოემას. ნიკომ გადმომცა, სასაუცხოვო რამ არისო“. ენახოთ. სხვათაშორის გიორგი მოიტანს თავის ფელატას, დომინიკო პიანინოს მიუხვით და სიმფონიაც მზადაა. (გააღებს შკაფს, იქიდან ერთ უყ.ოო ახლად გამოცემულ წიგნს ამოიღებს. რალაცას ზედ წააწერს და აძლევს) აი ძმაო, მეორე ტომი ჩემი ტვიზის ნაწარმოებისა.

ბეუ. Merci, თუმცა წაკითხვით უკვე წავიკითხე.

ოქრო. საიდან? იყიდე თუ?

ბეუ. არა, პეტრემ მათხოვა.

ოქრო. ჰოო!..

ბეუ. (პაპიროსს გააბოლებენ). გუშინ შენ მამაჩემი სრულიად გადაირიე; ძალიან ეინტერესებოდა შენი აზრის მოსმენა და, რაკი მოუწონე ეხლა სიხარულით ცას ეწვევა.

ოქრო. რას იზამ. რაც მართალია, მართალია. მასში სხვა ღირსებებთან ერთად მომწონს პრაქტიკული ქკუაც. ჩემი ოცნება ყველა აღსდგეს სამოქმედოთ, ყველა, რითაც კი შეუძლიან ემსახუროს თავის უბედურ ქვეყანას.

ბეუიკო. რახან ასე მოგეწონა ჩვენი მეურნეობა, ერთხელ კიდევ წავიდეთ სოფელში. ჩვენების სიხარულს საზღვარი არ ექნება.

ოქრო. თუ ოდესმე მოვიცალე დიდის სიხარულით. იმდენი სიამოვნება, რაც მაშინ თქვენსა განვიცადე, მთელ ჩემ გამოზრდაში არ მახსოვს. ალბად ესაა მიზეზი, რომ ყოველი წვრილმანი, საფუძვლიანად აღიბეჭდა ჩემს გონებაში.

ბეუ. აბა, ეხლა კი ცოტა ხნით ბინისკენ ჩავიბრუნებ. მერე იას ამოუვლი და საღამოთი ერთად მოვალთ, (სათს დაჰხედავს) აჰა! ხუთი საათია.

ოქრო. კარგი, მაგრამ ჯერ მოიცა ცოლი გაგაცნო.

ბეუ. ბატონი ბრძანდებით.

ოქრო. მართა!

(დასასრული იქნება)

ტრიფონ რამიშვილი.

